საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი N4

ქ.თბილისი

18.03.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი კამკამიძე - შპს ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე, (შემდგომში - თავმჯდომარე);
მაია მიქაშავიძე - ა(ა)იპ - მართვის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი, (შემდგომში-მდივანი);
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;
მაგდა მაღრაძე - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

თამარ ვალიშვილი;
კონსტანტინე თოფურია;
მარინა გედევანიშვილი;
ციური დურული.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ნინო მოდებაძე;
ნანა ნაცვლიშვილი;
მაგდა დავითაშვილი;
მარადი ბურდული.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ივანე ჯაგოდნიშვილი;
ალეკო სიჭინავა;
ალექსანდრე ედიბერიძე;
პაატა კოღუაშვილი;
თინათინ დათიაშვილი;
მანანა ცინცაძე;
ნაილი ორჯანელი;
გურამ ტყემალაძე;
მარიამ ხომასურიძე;
მანანა მოისწრაფიშვილი;
ლევან ბოცვაძე;
გოდერძი ტყეშელაშვილი;
ნინო დიდიშვილი;
მარიამ ზუბიაშვილი;
თამარ კილაძე;
იასონ ამანათაშვილი;
გიორგი მაისურაძე.

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის წარმომადგენლები:

ნინო ყურშუბაძე;
ისმეთ დინდარი;
ლეილა ახვლედიანი;
რუსუდან ვადაჭკორია.

აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დაიწყო 14:22 საათზე. მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ლევან მადათოვმა, საბჭოს წევრებს გააცნო აკრედიტაციის დებულებაში შესული ცვლილება, რომლის მიხედვითაც, სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა 3/4 -ით, 3/4-ის არ არსებობის შემთხვევაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა 3/4 -ით. ცვლილებები გამოქვეყნდა ცენტრის ვებგვერდზე ასევე დაეგზავნათ საბჭოს წევრებს. კონკრეტულ საბჭოს ესწრებოდა 7 წევრი, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებას ესაჭიროებოდა 6 ხმა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოგისტიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, დღის წესრიგში საკითხების გადანაცვლების შესახებ, კერძოდ, მე-10 საკითხი განხილულიყო მე-4 საკითხად. დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოგისტიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

1. **სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	კბილის ტექნიკოსი
განათლების საფეხური:	მესამე საფეხური (პროფესიული)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	090251
კრედიტების რაოდენობა:	60

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა თამარ ვალიშვილმა წარადგინა. მან საბჭოს გააცნო ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამის აღწერილობით ნაწილში იყოს მითითებული საერთო (თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტზე გათვალისწინებული) საათების რაოდენობა, სწავლების ენა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო.
- სასურველია გადაიხედოს რუსული ენის სილაბუსის შინაარსობრივი ნაწილი, რადგან სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგები არ შეესაბამება კურსის შინაარსს, ასევე უნდა დაზუსტდეს რეკომენდირებული ლიტერატურის ნუსხაც.
- ანატომიის სასწავლო კურსის ერთ–ერთ მისაღწევ შედეგს წარმოადგენს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, კერძოდ, კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს „ადამიანის ნორმალური ანატომიის, კონკრეტულად ყბა-კბილთა სისტემის ნორმის ცოდნით გამოასწოროს ორთოპედიული კონსტრუქციის შექმნის დროს თანდაყოლილი ან შეძენილი დეფორმაციები და დეფექტები“. სწავლის ეს შედეგი შეუძლებელია მიღწეულ იქნას ანატომიის კურსის შესწავლის შედეგად. სასურველია დაიხვეწოს სილაბუსის სწავლის შედეგების ნაწილი.
- პრაქტიკის სილაბუსებში (პირველი სამედიცინო დახმარების სასწავლო პრაქტიკის, ორთოპედიული სტომატოლოგიის საანაბეჭდო და პროთეტიკული მასალების სასწავლო პრაქტიკის), სწავლის მიზანი და შედეგი არ შეესაბამება ერთმანეთს. მაგალითად, პირველადი სამედიცინო დახმარების სასწავლო პრაქტიკის კურსის მიზანია – პროფესიულ სტუდენტს მისცეს ცოდნა ავადმყოფის პირველადი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო მეთოდთა კომპლექსის გამოყენებით, რომელიც საშუალებას მისცემს კვალიფიციური სამედიცინო დახმარების აღმოჩენამდე აღადგინოს და შეუნარჩუნოს ადამიანს ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციები. სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიხედვით სტუდენტს უმუშავდება მხოლოდ დასკვნისა და კომუნიკაციის უნარი, უყალიბდება გარკვეული ღირებულებები, ანუ სტუდენტი არ გადის ცოდნის და არც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარზე. სასურველია პრაქტიკული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები დაიხვეწოს.
- სასურველია, ვებგვერდზეც განთავსდეს დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ.
- კბილის ტექნიკოსის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკული კომპონენტის შეფასება პირველადი სამედიცინო დახმარების პრაქტიკის მაგალითზე. უმჯობესია კურიკულუმში აღწერილი იყოს უნიფიცირებული შეფასების სისტემა, ხოლო შეფასების განსხვავებული დეტალები (ქულობრივი განაწილება) გაიშალოს ცალკეული საგნების სილაბუსებში.

- პრაქტიკული სასწავლო კურსების შუალედური შეფასება გულისხმობს შემდეგ აქტივობებს: ა) დასწრებას, ბ) დღიურის წარმოებას, გ) სტუდენტის მიერ შესასრულებელ სამუშაოზე დაკვირვებას, დ) შესრულებული სამუშაოების ყოველდღიურ დემონსტრირებას. გაუგებარია, თუ როგორ უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ შესასრულებელ სამუშაოზე დაკვირვება. უმჯობესია, ეს პუნქტი ამოღებულ იქნას ან დაკონკრეტდეს, თუ რა იგულისხმება ამ სახის აქტივობაში.
- პრაქტიკული კომპონენტის დასკვნითი შეფასება შეადგენს 40ქულას, აქედან ა) დღიურის დემონსტრირებას ენიჭება 20 ქულა, ბ) შესრულებული სამუშაოებიდან საუკეთესოს დემონსტრირება 20 ქულა. ამავდროულად – შუალედური შეფასება ითვალისწინებს დღიურის წარმოების შეფასება–შემოწმებასაც. სასურველია დღიურის დემონსტრირების პუნქტი ამოღებულ იქნას საბოლოო შეფასებიდან და სასურველია დაიხვეწოს კომპონენტის სახელწოდება – „შესრულებული სამუშაოებიდან საუკეთესოს დემონსტრირება“, რადგან ფინალური შეფასება, პირველ რიგში, გულისხმობს ყველა მიღებული პროფესიული უნარების დემონსტრირებას და არა მხოლოდ საუკეთესოს.
- სილაბუსებში გაწერილი შუალედური შეფასებები ითვალისწინებს დასწრება - აქტივობის კომპონენტს. ხდება ამ კომპონენტის ყოველდღიური შეფასება მაქსიმუმ 2 ქულით. სილაბუსებში განმარტებულია, რომ 2 ქულა ენიჭება სტუდენტს, თუ დავალებას ასრულებს სრულყოფილად; პროფესიული სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს სასწავლო მასალას. მსჯელობა ლოგიკურია, არგუმენტაცია დამაჯერებელი; 1 ქულა ენიჭება, თუ დავალებას ასრულებს საკმარისად, თუმცა ხარვეზით; სტუდენტი არასაკმარისად ფლობს სასწავლო მასალას. მსჯელობა ზოგჯერ არაა ლოგიკური, დასაბუთება არასაკმარისია; 0 ქულა ენიჭება სტუდენტს, თუ დავალებას ვერ ასრულებს/ვერ ფლობს სასწავლო მასალას". ამ განმარტებიდან გამომდინარე, დასწრების კომპონენტის შეფასება არ ხდება, შესაბამისად უმჯობესია თუ შუალედური შეფასების ამ კომპონენტის სახელწოდება შესწორდება აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით.
- სასურველია განახლდეს სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის საშუალება მისცა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ მიცემული რეკომენდაციები პრაქტიკული კომპონენტების ჩაშლისა და კატალოგის გამართვასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელი იყო, ასევე მუშაობდნენ რუსული ენის სილაბუსის დახვეწაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა მომზადებული იყო უმაღლესი განათლების ბაზაზე კვალიფიციური ლექტორების მიერ და სილაბუსები უფრო მაღალ აკადემიურ დონეზე იყო შექმნილი.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა, თუ იყო პროგრამაში ასახული ექსპერტების შენიშვნები. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ დასწრებას არ ანიჭებდნენ ქულას, რადგან არ დაერღვიათ მინისტრის ბრძანება. პრაქტიკის სილაბუსიდან, რეკომენდაციის გათვალისწინებით, ამოიღეს დ) ქვეპუნქტი - „შესრულებული სამუშაოების ყოველდღიური დემონსტრირება. გაუგებარია, თუ როგორ უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ შესასრულებელ სამუშაოზე დაკვირვება“. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ სწავლის განმავლობაში სტუდენტს ათი კონსტრუქციის დამზადება უწევდა და თითოეული ეს აქტივობა ფასდებოდა 2-2 ქულით. შეფასების სისტემაში გაწერილი იყო რა შემთხვევაში რა ქულა მიენიჭებოდა სტუდენტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პერსონალი საკმაო გამოცდილების მქონე კადრებისგან იყო დაკომპლექტებული, უნივერსიტეტში ხორციელდებოდა კბილის

ტექნიკოსის მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროგრამები, არსებობდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ლიტერატურით.

ექსპერტმა, თამარ ვალიშვილმა, განაცხადა, რომ სასურველი იყო, აღნიშნული ლიტერატურა ყოფილიყო თანამედროვე.

საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი კამკამიძე დაინტერესდა, როდის გაიარეს აკრედიტაცია მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიულმა პროგრამებმა. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნულმა პროგრამებმა აკრედიტაცია 2011 წელს გაიარეს, ასევე ახორციელებდნენ დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამასა და სარეზიდენტო პროგრამას, სადაც ერთ მიღებაზე 13 რეზიდენტს იღებდნენ.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, თუ სად ტარდებოდა პრაქტიკული მეცადინეობები. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამ კლინიკასთან ჰქონდათ გაფორმებული მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც ხდებოდა როგორც სასწავლო, ასევე პრაქტიკული კომპონენტების ათვისება.

საბჭოს წევრმა, მაგდა მაღრაძემ ექსპერტს კითხვით მიმართა - თუ გავიდოდა პროგრამა შედეგზე იმ შემთხვევაში, თუ რეკომენდაციების გათვალისწინება არ მოხდებოდა.

ექსპერტმა, თამარ ვალიშვილმა, აღნიშნა, რომ ზოგადად, უნივერსიტეტი მზად იყო, განეხორციელებინა ეს პროგრამა, მაგრამ რეკომენდაციების გათვალისწინება მნიშვნელოვანი იყო.

მაგდა მაღრაძემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, რა იყო მთავარი სპეციფიკა მესამე საფეხურის პროგრამის, როგორ ბმაში იყო ის დანარჩენ საფეხურებთან და აპირებდნენ თუ არა რაიმეს შეცვლას, რათა არ მომხდარიყო გადაფარვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 2013 წლის მარტში ჩატარდა ტრენინგი, რომლის მასალებზე დაყრდნობით ააწყვეს პროგრამა. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გაითვალისწინეს და უკვე მიმდინარეობდა პროგრამების მოდიფიცირება.

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიები
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინტერდისციპლინური ინფორმატიკის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	040106
კრედიტების რაოდენობა:	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა კონსტანტინე თოფურიამ წარადგინა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პროგრამაში არჩევითი კომპონენტის სახით მაინც, ჩაისვას მარკეტინგის და რაიმე ტიპის ფინანსების კურსი, რაც გააერთიანებდა ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის, ასევე ფინანსების მენეჯმენტის საკითხებს.
- აუცილებლად მიგვაჩნია სამაგისტრო პრაქტიკისა და კვლევითი კომპონენტებისთვის განისაზღვროს წინაპირობები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის საშუალება მისცა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს დღის წესრიგში შეტანილი იყო რეკომენდაციების განხილვის საკითხი, გასწორდა ტექნიკური ხარვეზები და მიეთითა დაშვების წინაპირობები, პროგრამებს დაემატა ორი არჩევითი საგანი.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა რა იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბაკალავრის ხარისხი და სასპეციალიზაციო საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება წარმოადგენდა დაშვების წინაპირობას. საგამოცდო ცენტრი ხელმძღვანელობდა საგამოცდო საკითხებს და ეს ინფორმაცია განთავსებული იყო ვებგვერდზე.

თავმჯდომარე დაინტერესდა სტუდენტების რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 15-20 სტუდენტს ვარაუდობდნენ.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა ინგლისური ენის რა დონის ფლობა იყო საჭირო პროგრამაზე დასაშვებად და თუ იყო აღნიშნული პროგრამა შექმნილი სხვა პროგრამის ანალოგის მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საბაკალავრო საფეხურზე ნასწავლი ინგლისური ენის ცოდნის დონე იყო მისაღები ამ სამაგისტრო პროგრამაზე დასაშვებად და პროგრამა საზღვარგარეთის უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული პროგრამის მიხედვით ააწყვეს, კერძოდ, ჟენევის უნივერსიტეტის მაგალითზე, რომლის ანალოგითაც ჰქონდა შექმნილი პროგრამა.ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტს .

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ სად დასაქმდებოდნენ კურსდამთავრებულები. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტუდენტები ბევრ ადგილას დასაქმდებოდნენ, მათ შორის, თვითდასაქმების გზითაც, ეს წარმოადგენდა ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სიმბიოზს, რაც მოთხოვნადი იყო ბაზარზე.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა პროგრამაში ჩართული პირებით, აკადემიური პერსონალითა და მოწვეული სპეციალისტების თანაფარდობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადანაწილება დაახლოებით 50/50-ზე იყო, მოწვეული სპეციალისტები შეიძლებოდა უფრო დიდი რაოდენობითაც ყოფილიყო. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტს დიდი გამოცდილება ჰქონდა, პროგრამაში ჩართული იყო ორი დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი. ეს პროგრამა არ ისწავლებოდა საბაკალავრო საფეხურზე და ის სტუდენტები, რომლებიც ზოგადი ბიზნესის მიმართულებით სწავლობდნენ ბაკალავრიატზე, შეძლებდნენ ელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობდნენ ბელგიის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, პორტუგალიისა და ესპანეთის უნივერსიტეტებთან, ჩამოდიოდნენ ექსპერტები და ატარებდნენ ტრენინგებს.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, რატომ იყო თარგმანის თეორია სავალებულო საგნების ჩამონათვალში. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს იყო სამაგისტრო პროგრამაში ჩადებული საუნივერსიტეტო სავალდებულო საგანი, რომელიც , მიზნად ისახავდა ენის შესწავლასა და საკომუნიკაციო კომპეტენციის გამომუშავებას, რათა სტუდენტს ლიტერატურის წაკითხვის შესაძლებლობა ჰქონოდა .

მაგდა მაღრაძემ იკითხა, თუ იყო უცხო ენის ცოდნა წარმოდგენილი მიღების წინაპირობად. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უცხო ენის ცოდნა არ იყო გამოტანილი წინაპირობად.

3. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	02
კრედიტების რაოდენობა:	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა მარინა გედევანიშვილმა და საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა აღნიშნული ქვედარგების სპეციფიკაში უკეთ გარკვევის მიზნით, პროგრამას არჩევითი სასწავლო კურსების სახით დამატებოდა თითო საბაზისო სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს დაეხმარებოდა არჩეული ქვედარგის მენეჯმენტის უკეთ შესწავლაში. როგორც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებით გაირკვა პროგრამაზე მიიღებოდა კანდიდატი, რომელსაც უკვე ჰქონდა საბაკალავრო განათლება სატრანსპორტო, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და კვების წარმოების სპეციალობით ანუ ის, ვინც შეძლებდა აღნიშნულ სპეციალიზაციაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარებას, თუმცა, ,,უმაღლესი განათლების შესახებ"კანონი აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას აძლევდა მასაც, ვისაც სპეციალობის შეცვლა სურდა.
- როგორც პროგრამიდან იკითხებოდა: ,,კურსადმთავრებული შეიძლება დასაქმებულიყო ეკონომიკის ნებისმიერი სფეროს სახელმწიფო სექტორში; მრეწველობის სხვადასხვა დარგებში; საფინანსო-საბანკო სისტემაში; აუდიტორულ ფირმებში; საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინასო და საბუღალტრო სამსახურებში; თუ სილაბუსებში გაწერილი თემატიკით ვიმსჯელებდით, სტუდენტს გაუჭირდებოდა აღნიშნულ სფეროებში დასაქმება ვინაიდან სასწავლო კურსები და პროგრამა ვერ უზრუნველყოფდა კურსდამთავრებულისათვის ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებას რომლებიც აუცილიებელი იყო აღნიშნულ დაწესებულებებში მათ დასასაქმებლად. სასურველი იქნებოდა გადახედილიყო კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები და ჩამოყალიბებულიყო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისად.
- როგორც სილაბუსიდან ირკვეოდა პროგრამით გათვალისწინებული ბიზნესის მიმართულების 10 სავალდებულო სასწავლო კურსიდან 6 სილაბუსის ავტორი პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი გოდერძი ტყეშელაშვილი იყო. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, სილაბუსები პროფესორ გოდერძი ტყეშელაშვილის მიერ კი იყო შედგენილი, მაგრამ მისი წაკითხვა და ასევე ცვლილებების შეტანა სილაბუსში შეეძლოთ სხვა პროფესორებსაც, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობის შემთხვევაში. გარდა ამისა პროფესორ გოდერძი ტყეშელაშვილს ეკუთვნოდა სამივე ქვედარგის: ტრანსპორტის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და კვების წარმოების მოდულებში გათვალისწინებული თითო სავალდებულო საგნის და პრაქტიკის სილაბუსებიც. სასურველი იქნებოდა ქვედარგებში სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პრაქტიკის სილაბუსები მაინც მომზადებულიყო სამეცნიერო ან პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მიერ.

- აღსანიშნავი იყო რომ ყველა სასწავლო კურსის ფარგლებში, ყოველკვირეული, შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები აბსოლუტურად ერთნაირი იყო. მათ შორის, პრაქტიკის შეფასების შემთხვევაშიც. სასურველი იქნებოდა შეფასების კრიტერიუმები შერჩეულ ყოფილიყო სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- საწარმოო პრაქტიკის ტრანსპორტის, მენეჯმენტში, საწ მანქანათმშენებლობისა და ქიმიური და კვების წარმოების მენეჯმენტებში, თითქმის იდენტური ჰქონდათ მიზნები, შედეგები და 15 კვირაზე გაწერილი თემატიკა(მხოლოდ ერთი ან ორი კვირის თემატიკა ეხებოდა დარგის სპეციფიკას);
- საწარმოო პრაქტიკას ტრანსპორტის მენეჯმენტში, საწარმოო პრაქტიკას მანქანათმშენებლობის მენეჯმენტში და საწარმოო პრაქტიკას ქიმიური და კვების წარმოების მენეჯმენტში, არ ჰქონდათ წინაპირობა. თუ თემატიკას მიხედვით ვიმსჯელებდით წინაპირობად აუცილებელი იყო სტუდენტს გავლილი ჰქონოდა ,,ფინანსური მენეჯმენტი"; ,,საგადასახადო და საბაჟო ტექნოლოგიები" და ,,ფინანსური ანალიზი" მაინც.

რაც შეეხებოდა სილაბუსებს:

- „ბიზნესის თანამედროვე კონცეფციები" –სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იყო თ. ხომერიკის „მენეჯმენტის", ტუღუშისა და ყირიმლიშვილის „მენეჯმენტის საფუძვლების", და ჰეინეს „აზროვნების ეკონომიკური წესის" სახელმძღვანელოები. სასურველი იქნებოდა შეიცვლილიყო მითითებული სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურა, წინააღმდეგ შემთხვევაში სილაბუსით დაგეგმილი შედეგების მიღწევა შეუძლებელი იქნება;
- „საგადასახადო და საბაჟო ტექნოლოგიები" – ცოდნა და გაცნობიერებაში იყო ჩანაწერი, რომ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს ექნებოდა: „ ფირმის ფინანსური მენეჯმენტის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მათი კომპლექსურად გაცნობიერება". ექსპერტთა ჯგუფის აზრით ეს შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან ფინანსური მენეჯმენტი იმავე სემესტრში ისწავლებოდა, როგორც ცალკე სასწავლო კურსი და მას თავისი სწავლის შედეგები ჰქონდა. გარდა ამისა, სავალდებულო ლიტერატურადაც მითითებული იყო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი და იმედაშვილის „საგადასახადო საქმე".
- „მარკეტინგის მენეჯმენტი" – სასწავლო კურსის შინაარსში ძირითადად მარკეტინგის საფუძვლების თემატიკა იყო განხილული. ამას ისიც მოწმობდა , რომ სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იყო ესტატე ბოლოკაძის „მარკეტინგისა" და ფ. კოტლერისა და გ. არმსტრონგის „მარკეტინგის საფუძვლების" სახელმძღვანელო. აღნიშნული სახელმძღვანელოები ვერ უზრუნველყოფდნენ მარკეტინგის მენეჯმენტის სწავლებას, რადგან ორივე მარკეტინგის საფუძვლების სახელმძღვანელო იყო. ის, რომ სილაბუსი მარკეტინგის შესწავლას ისახავდა მიზნად და არა მარკეტინის მენეჯმენტის, მიზნიდანაც ჩანდა: „კურსის მიზანი იყო სტუდენტებს შეესწავლათ ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი და მისი კვლევის მეთოდები. ტრადიციული და ახალი პროდუქციის მომხმარებლამდე მიტანის ხერხები. ბაზრის სახეები და პროდუქციაზე მოსალოდნელი მოთხოვნა. მარკეტინგის მოწინავე თეორიები და მეცნიერული სკოლები მარკეტინგის განვითარების შესახებ".
- „ფინანსური ანალიზი" –სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა გაუჭირდებოდა მაგისტრანტს, რომელსაც ელემენტარული განათლება არ ჰქონდა ბუღალტრულ ან ფინანსურ აღრიცხვაში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამით სასწავლო კურსის წინაპირობად ფინანსური მენეჯმენტი იყო მითითებული, ამ საგნის სილაბუსით გათვალისწინებული თემების (კორპორაციული მოგებისა და რენტაბელობის მენეჯმენტი; საბრუნავი აქტივების მართვა და სხვა) სწავლაც

შეუძლებელი იქნებოდა ბუღალტრულ ან ფინანსურ აღრიცხვაში ელემენტარული ცოდნის გარეშე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, ბუღალტრული ან ფინანსური აღრიცხვის სწავლება არც აღნიშნული სპეციალობების საბაკალავრო პროგრამებით იყო გათვალისწინებული. ამიტომ სასურველი იყო ბუღალტრულ და ფინანსურ აღრიცხვაში მომზადებულიყო ერთიანი სასწავლო კურსი, რომელიც პროგრამას დაემატებოდა არჩევით სასწავლო კურსად.

- „ბიზნესის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდებში" ვკითხულობდით: „სასწავლო კურსის მიზანი იყო სატრანსპორტო ბიზნესში მენეჯმენტის წარმართვისას პერსპექტიული ანალიზის ჩატარების მეთოდებისა და ხერხების შესწავლა. პერსპექტიული ანალიზის გამოყენების შესაძლებლობა მენეჯმენტში სამმართველო გადაწყვეტილების მიღებისას". როგორც სილაბუსის შინაარსიდან ირკვეოდა, განხილული იყო ბიზნესის ანალიზის რაოდენობრივი, კლასიკური მეთოდები, რომლებიც საერთო იყო ბიზნესის ნებისმიერი დარგისა თუ ქვედარგისათვის, ამიტომ ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა მიზანში დაკონკრეტებულიყო არა მხოლოდ რომელიმე ქვედარგი (ამ შემთხვევაში სატრანსპორტო), არამედ ჩაწერილიყო ყველა ის ქვედარგი, რომლის არჩევაც მაგისტრანტს შეეძლებოდა.
- სასურველი იქნებოდა გადახედილიყო წინაპირობები, ვინაიდან სასწავლო კურსის: ფინანსური ანალიზი, წინაპირობად სილაბუსში მითითებული იყო საწარმოო ოპერაციული მენეჯმენტი (პროგრამაში – ფინანსური მენეჯმენტი), ხოლო ოპერაციული მენეჯმენტი მანქანათმშენებლობაში სასწავლო კურსის წინაპირობად კი საერთაშორისო მენეჯმენტი. აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება პროგრამით საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული სახელწოდებით პროგრამა ფუნქციონირებდა 2008-2012 წლებში. არსებული მონაცემებით დასაქმებული გახლდათ კურსდამთავრებულთა 40 პროცენტი, მათგან უმეტესობა ასევე აგრძელდებდა სწავლას დოქტორანტურაში და სწავლის პერიოდშიც დასაქმებული გახლდათ 70 პროცენტი. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ადგილობრივი აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მისაღები გამოცდებისას სავალდებულო გახლდათ გამოცდის ჩაბარება სპეციალიზაციის კუთხით, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი ვერ მოხვდებოდა აღნიშნულ პროგრამაზე. დაწესებულება აპირებდა დასაქმების ინტერნაციონალიზაციას პროფესურის პირადი კავშირების მეშვეობით. რაც შეეხებოდა უცხო ენას, არ იყო მითითებული დაშვების წინაპირობაში ინგლისური ენის დონე და მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ლიტერატურა გახლდათ ქართული დამხმარე ლიტერატურად მითითებული იყო თანამედროვე უცხოენოვანი სახელმძღვანელოები რისი წაკითხვაც გაუჭირდებოდა სტუდენტს თუ არ ექნებოდა ინგლისური ენის კომპეტენცია B1 დონეზე მაინც. ექსპერტის განცხადებით დაწესებულება იღებდა და ეთანხმებოდა ყველა რეკომენდაციას, გამოითქვა სურვილი ვიზიტის დროსვე ჩასწორებულიყო გარკვეული რეკომენდაციები თუმცა ვერ მოხერხდა, რადგან უნივერსიტეტის რექტორი ვიზიტის მომენტისათვის არ გახლდათ საქართველოში.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა რატომ არ შეეძლო სხვა სპეციალობის სტუდენტს მითითებულ საფეხურზე ჩაბარება თუ კი მას ექნებოდა სურვილი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მაგისტრატურა იყო კვალიფიკაციის ამაღლების საფეხური, რაც ასევე მოიაზრებდა სპეცილაობის შეცვლის საშუალებასაც სტუდენტს ძირითად შემთხვევაში მაინც უნდა ჰქონოდა რაიმე საბაზისო ცოდნა მითითებულ პროფესიაში, თუმცა მაგისტრატურის შიგნითაც შესაძლებელი იქნებოდა არჩევითი დამატებითი კურსი სხვა სპეციალობის მსურველებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა ვითარება იყო ამჟამად და რა შეიცვალა პირველი რეკომენდაციის შემდგომ.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა აღნიშნული სახელწოდებით სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ხორციელდება 1997 წლიდან. პროგრამა დაკომპლექტებული იყო მაღალკვალიფიციური პედაგოგიური რესურსით, მიმდინარეობდა აგრეთვე მუშაობა სახელმძღვანელოებზე, უკვე შექმნილი იყო 5 სახელმძღვანელო და მზადდებოდა კიდევ 6, სილაბუსები უზრუნველყოფილი იყო ლიტერატურით და მარკეტინგის მენეჯმენტის რეკომენდაცია ლიტერატურის შესახებ იქნა გასწორებული და ჩამატებული, ვინაიდან სწავლების ენა გახლდათ ქართული, ლიტერატურაც მითითებული იყო ქართული, რომლის ნახევარზე მეტი მოიძიება სქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო დამხმარე ლიტერატურას რაც შეეხებოდა, სილაბუსში არ იყო მითითებული ისეთი ლიტერატურა რომელსაც ბიბლიოთეკაში ვერ მოიძიებდა სტუდენტი. ინფრასტრუქტურა აღჭურვილი იყო ტექნიკით რომელიც უზრუნველყოფდა საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. ვინაიდან ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსი გახლდათ ძალიან ძველი ნაგებობა, რთული იქნებოდა იმის თქმა, რომ სტუდენტები სწავლობდნენ (კომფორტში) -კომფორტულ გარემოში. მიუხედავად იმისა, რომ თბებოდა ყველა აუდიტორია, იყო უზრუნველყოფა ინტერნეტით, გამოცვლილი იყო ფანჯრები და არ ეთანხმებოდნენ ექსპერტს, რომ ისეთი საგანგაშო სიტუაცია იყო სადაც შეუძლებელი იქნებოდა სწავლა. აგრეთვე პროგრამის დაშვების წინაპირობებს საკმაოდ ნათლად იყო განმარტებული პროგრამაში და სტუდენტების 80 პროცენტი შემოდიოდა სხვა უნივერსიტეტებიდან და თუ ჩააბარებდა საუნივერსიტეტო სპეციალობის გამოცდას იმ შემთხვევაში ჩაირიცხებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა კონსტანტინე თოფურიამ დაამატა, რომ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით იგულისხმებოდა, რომ უნდა დაეკმაყოფილებინა ავტორიზაციის სტანდარტები და სამწუხაროდ შენობა რომელშიც ამჟამად ხორციელდებოდა აღნიშნული პროგრამა არ აკმაყოფილებდა რამდენიმე საავტორიზაციო სტანდარტს. არ იყო პანდუსები, საპირფარეშოებში იყო ანტისანიტარია. აგრეთვე არ იყო საევაკუაციო გეგმა რომელიც გაიკრა ვიზიტის დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა გოდერძი ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ რეკომენდაციების უმეტესობა იყო გათვალისწინებული კერძოდ 12 და 6 იქნა გათვალისწინებული დანარჩენზე დაწესებულებას თავისი ხედვა ჰქონდა. კარგი იქნებოდა საბაზისო არჩევითი კურსების არსებობა, მაგრამ შეზღუდულები იყვნენ კრედიტებში. როდესაც შემოდიოდა სტუდენტი მან ზუსტად იცოდა რა საგნებს შეისწავლიდა, ვინაიდან ბაკალავრიატში ისწავლებოდა მენეჯმენტი, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურები და მსგავსი საგნები, სტუდენტი შესაბამისად გაცნობიერებული უნდა ყოფილიყო თემატიკაში რაც ასევე ასახული იქნებოდა ტესტებში. ასევე, პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმებში გაპარული იყო ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, პრაქტიკის შეფასება არ ითვალისწინებდა შეფასების ერთნაირ კრიტერიუმებს და აღნიშნული ხარვეზი ჩასწორებულ იქნა ვიზიტის განმავლობაში. კონსულტაციისათვის განკუთვნილი საათები იგულისხმებოდა საკონტაქტო საათებში, კონსულტაცია ტარდებოდა ცალკე პროფესურა ვალდებული იყო გამოეკრა საკონსულტაციო საათების გრაფიკი რაც სტუდენტს საშუალებას აძლევდა პირადად მიეღო კონსულტაცია.

წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა თემატიკის დამთხვევებს და განმარტა, რომ თემის სათაურების დამთხვევა არ გულისხმობდა პრაქტიკის შინაარსების დამთხვევას ვინაიდან არსებობდა სპეციფიკური თემატიკები რომელიც თავისთავად სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ გადაფარავდა ერთმანეთს. ასევე გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაცია პრაქტიკის წინაპირობებთან დაკავშირებით. ბიზნესის თანამედროვე კონცეფციაზე თემას დამატებული ჰქონდა ლიტერატურა და შესაბამისად შეცვლილი იყო თემატიკაც. ასევე, ვინაიდან, ბაკალავრიატში ისწავლებოდა

დაახლოებით 8 საგანი რომელიც ეხებოდა საბუღალტრო და ფინანსურ აღრიცხვებს შესაბამისად, საკითხები აისახებოდა ტესტებში (მისაღები გამოცდების) და სტუდენტი რომელსაც არ ჰქონდა წარმოდგენა მსგავს საგნებზე შესაბამისად ვერ მოხვდებოდა მოცემულ საფეხურზე.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა ბიზნესის მიმართულებით, რადგან სხვა პროგრამებიც არსებობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში რა დამატებით ღირებულებებს ქმნიდა მოცემული პროგრამა რომელიც სამ სპეციალიზაციას მოიცავდა და ვინაიდან საბჭოს წევრი თვლიდა, რომ ხდებოდა კურსების შემოტანა სხვა პროგრამებიდან და ბიზნესის მართვის პროგრამის ანალოგი იყო ჩადებული პროგრამაში რა პრივილეგიით აპირებდა მოცემული პროგრამა ყოფილიყო კონკურენტუნარიანი სხვა დაწესებულებების ანალოგიურ პროგრამებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროდ თვლიდა ბიზნესის ადმინისტრირების კურსის არსებობას, ვინაიდან დასაქმების თვალსაზრისითაც იყო გამართლებული. საჭირო იყო დარგობრივი სპეციალიზაცია აღნიშნული კუთხით, რომელიც ითვალისწინებდა 60 კრედიტს. ვინაიდან მაგისტრატურის საფეხურზე შესაძლებელი იყო სტუდენტს 15 კრედიტშიც მოეხერხებინა კვლევა.

წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა, ბევრს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისწავლებოდა ბიზნეს ადმინისტრირება მას მიაჩნდა მაინც უნდა ყოფილიყო რაიმე სპეციალიზაცია.

4. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	დიპლომირებული მედიკოსი
განათლების საფეხური:	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა:	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი:	090101
კრედიტების რაოდენობა:	360

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტმა თამარ ვალიშვილმა. მისი აზრით დაწესებულებაში ყველა პირობა იყო შექმნილი მომავალი მედიკოსისთვის: ინდივიდუალური წვდომა ბაჰჩეშეირის (სტამბულის) სამედიცინო ფაკულტეტის ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან; სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები; ანატომიური, ბიოქიმიური, მიკრობიოლოგიური ლაბორატორიები; კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, აღჭურვილი მულაჟებითა და სიმულატორებით; ტელე-ვიდეო კონფერენციისა და დისტანციური სწავლების აპარატურით აჭურვილი კაბინეტი. ადგილზე დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ ბიბლიოთეკა ბევრად უკეთესი იყო ვიდრე სილაბუსებში ჩანდა. საუნივერსიტეტო კლინიკა თითქმის დასრულებული იყო. მისი თქმით ბაუ საერთაშორისო უნივერიტეტის ქსელი იყო და შეეძლო პროფესორების მოწვევა და სტუდენტების გაშვება საზღვარგარეთ. დისტანციური ლექციების ჩატარების შესაძლებლობაც ჰქონდათ.

მისი თქმით, პროგრამაში არსებული უზუსტობები გამოწვეული იყო თურქული ანალოგიდან პირდაპირი გადმოტანით. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდებები, მაგალითად, „ქსოვილთა დაზიანება და მასპინძლის პასუხი“, ‘კარგი სამედიცინო პრაქტიკა“, ‘მოლეკულური გენეტიკის პრაქტიკული“, „ადამიანის ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი მიკროორგანიზმები“, „პროფილაქტიკური ონკოლოგია“. სასწავლო კურსის „ჰემატოლოგია და ონკოლოგია“ სახელწოდება არ შეესაბამება სასწავლო კურსში ასახულ შინაარსს: კურსი მოიცავს მხოლოდ ჰემატოლოგიის საკითხებს. სასწავლო კურსი „კარგი სამედიცინო პრაქტიკა“ შინაარსობრივად არ წარმოადგენს პრაქტიკის ამსახველ საგანს, რადგან ფორმატი ითვალისწინებს სალექციო კურსს. სასურველია დაზუსტდეს სახელწოდება საგნის შინაარსის გათვალისწინებით.
- რეკომენდირებულია დაზუსტდეს ფარმაკოლოგიის სასწავლო კურსის მიზანი, რადგან ის ითვალისწინებს მხოლოდ ფაარმაკოკინეტიკის და ფარმაკოდინამიკის საფუძვლების შესწავლას, და არ მოიცავს ფარმაკოლოგიური პრეპარატების ჯგუფებს, თუმცა საგნის შინაარსში და სწავლის შედეგებში ეს თემებიც არის ასახული.
- უნდა შეიცვალოს ქართული ენის სილაბუსი: სასწავლო კურსი ,,ქართული ენა“ წარმოადგენს სავალდებულო დისციპლინას და სილაბუსის მიხედვით ითვალისწინებს ანბანის, წერა–კითხვის, სასაუბრო ენის ათვისებას. ქართული ენის საწყისი დონის ამ ფორმით შესწავლა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ქართულენოვანი სტუდენტებისათვის. შესაძლებელია ქართულენოვან სტუდენტებისათვის შეთავაზებული იქნას სხვა უცხო ენის ათვისება ამ კრედიტების ფარგლებში. ამავდროულად, ქართული ენა 1“ სილაბუსში მითითებულია, რომ კურსი გათვლილია ,,არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის“, რაც წინააღმდეგობაში მოდის პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან.

- უნდა დაკორექტირდეს „ორთოპედია, ტრავმატოლოგიის“ სასწავლო კურსის სილაბუსი: შინაარსი და სავალდებულო ლიტერატურა მოიცავს მხოლოდ ტრავმატოლოგიის საკითხებს და სილაბუსში არ არის ასახული ორთოპედიის საკითხები და შესაბამისი სახელმძღვანელოები. აღნიშნული სილაბუსი არ შეიცავს აგრეთვე ბავშვთა ტრავმის და ორთოპედიის საკითხებს, თუმცა საგნის მიზანი ითვალისწინებს ამ საკითხების შესწავლას.
- რიგ სილაბუსში გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები, მაგალითად. სილაბუსში ,,ორთოპედია, ტრავმატოლოგია“ საკონტაქტო საათების რაოდენობა შეადგენს 76 საათს, მაშინ როდესაც სილაბუსის შინაარსობრივ ნაწილში ჩაშლილია მხოლოდ 60 საათი. ,,დერმატოლოგიის“ სილაბუსში სასურველია შესწორდეს ტერმინოლოგიურად ჩანაწერი ,,კანის დანამატი ორგანოების გამოკვლევა“. ,,სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების'' სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია , რომ საგანი ისწავლება მე-4 სემესტრში, რაც არ არის შესაბამისობაში პროგრამის მატრიცაში ასახულ სემესტრთან (მითითებულია მე-7 სემესტრი).
- სასურველია გადაიხედოს ,,ნეიროქირურგიის“ სასწავლო კურსის თემატიკა , შინაარსში მხოლოდ თავის /ხერხემლის ტრავმული დაზიანებები და ონკოლოგიური პათოლოგიები არის მოცემული, სხვა დაავადებები და მდგომარეობები , რისი შესწავლაც დასახულია სასწავლო კურსის მიზნად, არ არის შეტანილი თემატიკაში (მაგ: ბავშვთა ნეიროქირურგია და პერიფერიული ნერვების ქირურგია).
- სილაბუსი -,,პაციენტის ისტორია“ დასაკორექტირებელია, თემატიკა გაუგებრად არის გაწერილი და სრულად არ შეესაბამება მიზანს.
- რეკომენდირებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის კომპეტენციების ნუსხას დაემატოს დასკვნის უნარის გამომუშავება, მაგალითად, ,,კარდიოლოგიის“, ,,ტრავმატოლოგია-ორთოპედიის“, ,,ფიზიოთერაპია-კურორტოლოგიის“, ,,ინფექციურ დაავადებების“ კურსებს, რაც მეტად აუცილებელია ამ საგნების შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნისათვის.
- დასაკორექტირებელია სასწავლო კურსის -,,ორთოპედია, ტრავმატოლოგია“ მისაღწევი კომპეტენციების შინაარსობრივი ნაწილი, კერძოდ ,,ცოდნა/გაცნობიერების“ კომპეტენცია.
- რადგან პროგრამა გათვალისწინებულია არა მხოლოდ უცხოელი სტუდენტებისათვის, არამედ საქართველოს მოქალაქეებისათვისაც, სასურველია პროგრამაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ კურსდამთავრებულს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეძლევა უფლება იმუშაოს უმცროს ექიმად (ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ) ან გაიაროს „რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლების კურსი“ და მოიპოვოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება, ან განაგრძოს სწავლა განათლების შემდგომ საფეხურზე დოქტორანტურაში.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში განსაზღვრულია ენობრივი მოთხოვნები სწავლის მსურველი იმ პირებისათვის, რომლებსაც კანონმდებლობა არ ავალდებულებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ რა მოთხოვნები არსებობს საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც ჩაირიცხნენ უნივერსიტეტში ეროვნული გამოცდებით. უმჯობესია დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ამ გარემოების გათვალისწინებით.
- რიგ სილაბუსში, მაგალითად, „უჯრედი, ქსოვილი და ორგანოთა სისტემა“ , „საჭმლის მომნელებელი სისტემა და მეტაბოლიზმი“, „შარდ–სასქესო სისტემა“ სასწავლო კურსის ფორმატად მითითებულია მხოლოდ ლექცია და ჯგუფში მუშაობა, თუმცა „სწავლების მეთოდების“ და „ცოდნის შეფასების სისტემის“ პუნქტებში განიხილება ლაბორატორიული მეცადინეობების ფორმატიც და აღწერილია ლაბორატორიული მეცადინეობების შეფასებაც. სასურველია, დაკორექტირდეს სილაბუსების ეს ნაწილი.

- უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის თანახმად – დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში სტუდენტს ერთჯერადად ეძლევა საგნის გადაბარების შესაძლებლობა განმეორებითი გამოცდით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ". ამავდროულად წინამდებარე წესში არსებობს მეორე ჩანაწერიც: „განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგით მოაგროვა **41–50** ქულა". დებულების ეს პუნქტი უნდა იყოს მოყვანილი შესაბამისობაში საქართველოში არსებულ საკანონმდებლო აქტებთან.
- ტრანსდისციპლინური მოდულების შეფასების სისტემა უნიფიცირებულია მოდულში შემავალი ყველა კომპონენტისათვის და არ ითვალისწინებს მოდულში შემავალი საგნების სპეციფიკას.
- რიგ სილაბუსში გასასწორებელია შეფასების სისტემის ტექნიკური ხარვეზები. მაგალითად,
    - „ძვალ-კუნთოვანის სისტემის დაავადებები", „საჭმლის მომნელებელი სისტემა და
    - მეტაბოლიზმი'' სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემის ნაწილში წერია, რომ
    - რეფერატი ფასდება მაქსიმალურად 10 ქულით, თუმცა მოცემული ჩაშლა განხორციელებულია 15
    - ქულიანი სისტემის მიხედვით. ზოგიერთ სილაბუსში, მაგალითად, „ორთოპედია-ტრავმატოლოგია", „ფიზიოთერაპია, კურორტოლოგია" შეფასების სისტემაში ქულათა ჯამი 100–ს აღემატება.
- დაწესებულებას აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა არ წარმოუდგენია. ფაკულტეტის დეკანის განმარტებით, აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვა, ოფიციალური დოკუმენტის სახით, ჯერჯერობით გაწერილი არ ჰქონდათ.
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს ძირითადი სასწავლო კურსების წამყვანი სახელმძღვანელოები, რომლებიც რიგ შემთხვევაში არ არის ასახული სილაბუსებში ლიტერატურის სახით. სასურველია დაზუსტდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

უნივერსიტეტის რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ მათი რეკომენდაციები გაითვალისწინეს და უკვე გასწორებული იყო უზუსტობები.

რეკომენდაციების შესახებ განმარტებები გააკეთა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია და შენიშვნა გაასწორეს. შეიცვალა 24 სილაბუსი, ტექნიკური ხარვეზები, წინაპირობები, შინაარსი, შეფასების სისტემა სტანდარტთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი. შესწორებული ვარიანტები ელექტრონული ფორმით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში იქნა გადაგზავნილი. არ დაეთანხმნენ მხოლოდ რამდენიმე სასწავლო კურის სახელწოდების ცვლილებას „ქსოვილთა დაზიანება და მასპინძლის პასუხი", კიდევ „პროფილაქტიკური ონკოლოგია". რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში შინაარსი და სახელწოდება არ შეესაბამებოდა ერთმანეთს.

არ შეცვლილა შეფასების სისტემა ტრანდისციპლინურ მიმართულებებში, თუმცა შეიქმნა სპეციალური დოკუმენტი სადაც ნათლად გამოჩნდება ცალკეული შეფასებები და დაერთვება სილაბუსებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა პროგრამაზე. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთი წელი მაინც არ გეგმავდნენ სტუდენტების მიღებას, გარდა ინგლისური ენის მოსამზადებელი პროგრამის სტუდენტებისა. შენდებოდა კამპუსიც არაადგილობრივი სტუდენტებისთვის. ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტს ჰქონდა სპეციალური სამსახური რომელიც იზრუნებდა სტუდენტების განთავსებაზე.

16:56 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 17:37 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის პირველ ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე- 7; წინააღმდეგი - 0)
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე- 7; წინააღმდეგი - 0)
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე- 6; წინააღმდეგი - 1)
  ამასთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალოს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება სამი თვის განმავლობაში. კერძოდ: შემოწმდეს დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები შესრულება.
- შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე- 6; წინააღმდეგი - 0)

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ეკონომიკა
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ეკონომიკის დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0701
კრედიტების რაოდენობა:	180

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ციური დურულმა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია, მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებში უცხო ენის დონის განსაზღვრა;
- სასურველია, პროგრამის სასწავლო კომპონენტში, საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე. გათვალისწინებული იქნას არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზება;
- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა პერიოდულად განახლდეს უახლესი პუბლიკაციებით, ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერების მონოგრაფიებითა და კვლევის მასალებით.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული და გასწორებული იყო. პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დაზუსტდა უცხო ენის ცოდნის დონე B2. რამოდენიმე სასწავლო კურსში დამატებულ იქნა ლიტერატურა და კიდევ იძენდნენ წიგნებს უფრო მეტად სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის. არჩევით კურსებთან დაკავშირებულ რეკომენდაციასაც დაეთანხმნენ და აღნიშნეს, რომ მუშაობდნენ ამ საკითხზე.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ერთი შეხედვით ჩანდა, რომ პროგრამა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ჩანდა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა, რადგან მათთვის ეს საკითხი მნიშვნელოვანი იყო. ამასთანავე, მათი სტუდენტი გლობალური და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი იქნებოდა.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, რით განსხვავდებოდა სადოქტორო კურსი სამაგისტროსგან. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სადოქტორო პროგრამა ნოვაციებზე და თანამედროვე მოთხოვნებზე იყო დამყარებული. სამაგისტრო პროგრამა კი კვლევაზე ორიენტირებული იყო.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა პროგრამაზე და რამ გამოიწვია პროგრამის შექმნის საჭიროება.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ძირითადად მათივე უნივერსიტეტის მაგისტრანტები იყვნენ დაინტერესებულნი.

თამარ ზარანდია დაინტერესდა აკადემიური წერა რატომ არ იყო პროგრამაში, თუნდაც არჩევითის სახით. რამდენი აკადემიური და მოწვეული პროფესორი იყო ჩართული. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით აკადემიური წერის საკითხები დარგობრივი კვლევის მეთოდების სასწავლო კურსში იყო მოცული. პროგრამას ჰყავდა ექვსი აკადემიური და თვრამეტი მოწვეული პროფესორი.

6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	აგრარული ეკონომიკა
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ეკონომიკის დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0701
კრედიტების რაოდენობა:	180

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ციური დურულმა. მან საბჭოზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო სდასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- საურველია, პროგრამის სასწავლო კომპონენტში, საკვლები თემატიკიდან გამომდინარე, გათვალისწინებულ იქნას არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზება;
- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა პერიოდულად განახლდეს უახლესი პუბლიკაციებით, ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერების მონოგრაფიებითა და კვლევის მასალებით.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამუშაოსათვის. მისი თქმით რეკომენდაციები მისაღები იყო. წარმოდგენილი პროგრამა, იყო ამერიკული და გერმანული მოდელების ჰიბრიდი. ბევრი ფიქრის შედეგად შეიქმნა აგრარული ეკონომიკის სადოქტორო პრორამა. ბიზნესთან შედარებით ეკონომიკა იძლეოდა კვლევის საშუალებას. მისი აზრით ლიტერატურა საკმარისი იყო, თუმცა დოქტორანტს თავადაც უნდა მოეძიებინა საჭირო მასალები და ლიტერატურა, ეს მასაც განავითარებდა.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, ხომ არ უფიქრიათ, სასწავლო კურსები კი არ გაეზარდათ, არამედ შეემცირებინათ მათი რიცხვი და რას გულისხმობდა სასწავლო კურსი პროსპექტუსი 1 და 2 შინაარსობრივად. სასწავლო კომპონენტში. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტების მიღებას ერთი წლის შემდეგ აპირებდგენ და პროგრამის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე კიდევ იმუშავებდნენ. პროსპექტუს 1-ზე თემატიკის და ლიტერატურის არჩევა ხდებოდა, პროსპექტუს 2-ში კი პროცესის გაწერა, პრეზენტაციები კომისიასთან ნაშრომის დაცვამდე.

საბჭოს წევრმა მაია მიქაშავიძემ დატოვა სხდომა.

7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	აგრობიზნესის მენეჯმენტი
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	აგრობიზნესის მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	020305
კრედიტების რაოდენობა:	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშიე წარადგინა ექსპერტმა კონსტანტინე თოფურიამ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პროგრამაში არჩევითი კომპონენტის სახით მაინც, ჩაისვას მარკეტინგის და რაიმე ტიპის ფინანსების კურსი, რაც გააერთიანებდა ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის, ასევე ფინანსების მენეჯმენტის საკითხებს;
- აუცილებლად მიგვაჩნია სამაგისტრო პრაქტიკისა და კვლევითი კომპონენტებისთვის განისაზღვროს წინაპირობები.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს თანამშრომლობისათვის და აღნიშნა, რომ ხარვეზების ნაწილი ვიზიტის დროსვე გასწორდა. გაიწერა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. გაფორმდა მემორანდუმები სოფლის მეურნეობის მიმართულებით და წარმოადგინა მითანასთან, იფქლთან, მილკოსთან, პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფთან გაფორმებული ხელშეკრულებები. სასწავლო მასალად შეტანილ იქნა კოტლერის „მარკეტინგის მენეჯმენტი". უახლოეს მომავალში პროგრამას დაემატებოდა სასწავლო კურსი „კორპორაციული მენეჯმენტი".

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა რამდენი აკადემიური პერსონალი იყო ჩართული პროგრამაში. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იყო ერთი სრული პროფესორი. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა იყო ახალი, ჩართული იყვნენ სხვა ფაკულტეტის პროფესორები ძირითადად ეკონომისტები. თუმცა, პროგრამის ამუშავებამდე გამოცხადდებოდა კონკურსი და დაკომპლექტდებოდა კადრებით.

8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	მეცხოველეობა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	მეცხოველეობის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0103
კრედიტების რაოდენობა:	120

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ციური დურულმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნა რეკომენდაციებით დატვირთული არ ყოფილა. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა ერთადერთი რეკომენდაცია, კერძოდ, სასურველი იყო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში გაზრდილიყო აკადემიური პერსონალის წილი.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ახალი ფაკულტეტი იქმნებოდა, რომლის კადრებით დაკომპლექტებაც მალე დაიწყებოდა - ფაკულტეტი კონკურსების გამოცხადების მოლოდინში იყო და კადრებით სრულად უზრუნველყოფას სექტემბრისთვის ელოდა.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე მატერიალური რესურსით და ბაზებით დაინტერესდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს 9 მილიონი ლარის ღირებულების ლაბორატორია ჰქონდა შეძენილი.

საბჭოს წევრმა, თამუნა ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ ზოგადად, იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ჯერ პროგრამების აკრედიტაცია ხდებოდა და შემდეგ იქმნებოდა ფაკულტეტები და პროგრამები, რაც, მისი აზრით, შესაძლოა უნივერსიტეტის სხვა პროგრამებისთვის ზიანის მომტანი ყოფილიყო. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა პასუხად განაცხადა, რომ ფაკულტეტები მოუმზადებლად არ იქმნებოდა და მარეგულირებელ დოკუმენტებთან ერთად, არსებობდა ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმებიც. ფაკულტეტის შექმნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება სამინისტრომ მხოლოდ სტრატეგიისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და წარდგენის შემდეგ მიიღო.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, სად ხორციელდებოდა სასწავლო პრაქტიკა და რომელ ბაზებს იყენებდა დაწესებულება. წარმომადგენელმა აღნიშნა კოდის მეფრინველეობასთან თანამშრომლობის შესახებ, სადაც მეღორეობა და მებოცვრეობაც საკმაოდ განვითარებული იყო. უნივერსიტეტს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ტიბაანის ბაზასთანაც და აგრეთვე, მოლაპარაკებებს აწარმოებდა აიოვას უნივერსიტეტთან.

მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, მიიღო თუ არა დაწესებულებამ რეკომენდაციები აიოვას უნივერსიტეტის მხრიდან სილაბუსების გადახედვისა და ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აივას უნივერსიტეტთან თანამშრომლობა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ხდებოდა, თუმცა მოხდა ახალი ლიტერატურის შესყიდვაც, რომლის თარგმნაც ამჟამად მიმდინარეობდა.

მაგდა მაღრაძემ შენიშნა, რომ დაწესებულების პოზიცია უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების კუთხით არ იყო მისაღები და აქცენტი ქართულენოვან ლიტერატურაზე კეთდებოდა, თუმცა რუსულენოვანი სახელმძღვანელოები პროგრამის ფარგლებში ფართოდ გამოიყენებოდა, რაც შესაძლოა რუსული ენის არმცოდნე სტუდენტებისთვის პრობლემა ყოფილიყო. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად აღნიშნა, რომ რუსულ ენაზე ძალიან კარგი ლიტერატურა იყო ხელმისაწვდომი, თანაც რუსულენოვანი სახელმძღვანელოები პროგრამაში დამხმარე ლიტერატურაში იყო მითითებული და არა ძირითადში.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ სახელმძღვანელოების თარგმნა უნივერსიტეტს, სავარაუდოდ, ძვირი უჯდებოდა. წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტი ლიტერატურას მუდმივად აახლებდა, რადგან მთარგმნელობით სამუშაოს თავად უნივერსიტეტი ახორციელებდა.

მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, გააჩნდა თუ არა უნივერსიტეტს ლაბორატორიები მეცხოველეობისთვის, რაზეც პასუხი დადებითი იყო.

9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	მევენახეობა და მეღვინეობა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0104
კრედიტების რაოდენობა:	120

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ჯგუფის წევრმა, ციური დურულმა წარადგინა.

ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში ერთადერთი რეკომენდაცია დააფიქსირა: ექსპერტების რეკომენდაციით, უფრო გამართლებული იქნებოდა კვალიფიკაცია სასურსათო ტექნოლოგიის ნაცვლად აგრარულ მეცნიერებებში მინიჭებულიყო. ექსპერტის განმარტებით, მევენახე-მეღვინის სპეციალიზაცია პროფესიულ სპეციალიზაციებს განეკუთვნებოდა, აგრარულ მეცნიერებში კი გათვალისწინებული იყო ხილ-ბოსტნისა და ყურძნის მოყვანის ტექნოლოგია და სასმელების ტექნოლოგია (ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო), აგრონომიის სპეციალობის ფარგლებში. მევენახეობა ალკოჰოლიანი სასმელების ტექნოლოგიებში მოიაზრება, მაგრამ თუ მაგისტრანტი ნაშრომის შესრულებას მეღვინეობის მიმართულებით გადაწყვეტდა, მისი შრომა იკარგებოდა, რადგან კვალიფიკაცია სასმელების ტექნოლოგიაში მიენიჭებოდა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელისთვის რეკომენდაცია მისაღები აღმოჩნდა და თავადვე აღნიშნა, რომ აგრარული მეცნიერებები მეტად კომპლექსურ კვალიფიკაციას მოიცავდა. წარმომადგენლის თქმით, კვალიფიკაციის ცვლილების საკითხის განხილვა სამეცნიერო საბჭოზე მოხდა და დადებითად გადაწყდა. წარმომადგენლის განმარტებით, რაც უფრო ფართო იქნებოდა კვალიფიკაცია, მით მეტი იქნებოდა სტუდენტის დასაქმების შესაძლებლობა.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, რამდენად იყო შესწავლილი ბაზარი - რომელი კონკურენტი პროგრამები არსებობდა საქართველოს მასშტაბით; აგრეთვე, გაფორმებული მემორანდუმებითა და მისაღები სტუდენტების სასურველი ოდენობით.

წარმომადგენლის განმარტებით, აგრარულ მეცნიერებებში საქართველოში მხოლოდ საბაკალავრო პროგრამები არსებობდა, სამაგისტრო - არა. მისივე თქმით, მსგავს საბაკალავრო პროგრამას აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებდა.

დაწესებულების წარმომადგენლის თმით, სასწავლო პრაქტიკის განხორციელებისთვის, ერთერთი ბაზა ჯიღაურში მდებარე კვლევითი სამეცნიერო ცენტრი იყო, სადაც უნივერსიტეტის პროფესორი, ლევან უჯმაჯურიძე მუშაობდა. ასევე, პროგრამის ფარგლებში, უნივესიტეტს ურთიერთობა ჰქონდა შამპანურის ქარხანა „ბაგრატიონთან" და ბრენდის ქარხანასთან. უნივერსიტეტმა თანამშრომლობა წამოიწყო ყველა სუბიექტთან, რომლის საქმიანობის შესაბამის კურსსაც პროგრამა ითვალისწინებდა და მოლაპარაკებები ჯერ კიდევ გრძელდებოდა.

მაგდა მაღრაძე შესაბამისი ლაბორატორიის არსებობით დაინტერესდა. წარმომადგენლის განცხადებით, პრაქტიკა ერთერთ მეღვინეობის სერტიფიკატის გამცემ ლაბორატორიაში ხორციელდებოდა (ამერიკის საელჩოს მიმდებარედ). ამავდროულად, ახალ შენობაში ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელ ბაზებს ელოდებიან.

სხდომაზე აღინიშნა, რომ პროგრამა მონპელიეს უნივერსიტეტის პროგრამასთან იყო მიახლოებული. სასწავლო მასალებთან დაკავშირებით ითქვა, რომ 34 ახალი ბეჭდური და 48 ელექტრონული წიგნი შეიძინეს, რომელთა თარგმნაც ამჟამად მიმდინარეობდა.

10. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოგისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	სატრანსპორტო ლოგისტიკა
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინჟინერიის დოქტორი ტრანსპორტში
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0407
კრედიტების რაოდენობა:	180

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ჯგუფის თავმჯდომარემ, კონსტანტინე თოფურიამ წარადგინა. დასკვნაში შემდეგი რეკომენდაციები დაფიქსირდა:

- ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგალითად „სამეცნიერო კვლევის მეთოდები სატრანსპორტო ლოგისტიკაში") ასათვისებლად საჭირო ძირითად და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებული იყო მხოლოდ პროგრამის განმახორციელებელი პირების ავტორობით შექმნილი სახელმძღვანელოები. რადგანაც სატრანსპორტო ლოჯისტიკის სფერო ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და განიცდის ინტენსიურ განვითარებას, უმჯობესი იქნებოდა ახალი უცხოენოვანი ლიტერატურის მოძიება და მათი პროგრამაში ჩართვა;
- რადგანაც ლოგისტიკა შეიძლება ეხებოდეს ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის თითქმის ყველა დარგს და ამასთან, პროგრამაზე მიღების არეალის გაფართოების მიზნით, სასურველი იყო დაშვების წინაპირობებში ამოღებული ყოფილიყო ფრაზა „შესაბამისი დარგის მაგისტრი" და დარჩენილიყო მხოლოდ „მაგისტრი", რადგანაც აპლიკანტის პროგრამასთან შესაბამისობას საბოლოოდ დროებითი საფაკულტეტო კომისია საზღვრავდა;
- აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული იყო სადისერტაციო ნაშრომის შუალედური შეფასებები. სასურველი იყო ამ შეფასებების ფორმები და კრიტერიუმები საგანმანათლებლო პროგრამაშიც უფრო თვალნათლივ ყოფილიყო ასახული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სატრანსპორტო ლოგისტიკა, როგორც ცალკე საგანმანათლებლო პროგრამა, სიახლეს წარმოადგენდა, ვინაიდან აქამდე იგი სატრანსპორტო მიმართულების ერთერთი მოდული იყო. საბაკალავრო პროგრამას რაც შეეხება, იგი შექმნილი და წარმოდგენილი იყო გერმანულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით - პროგრამა ქართულ ენაზე ხორციელდებოდა, თუმცა გერმანულენოვანი პროგრამის შექმნაც იგეგმებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით თანხმობა გამოხატა. დაწესებულება, უახლოეს მომავალში, გერმანულენოვანი ლიტერატურის მიღებას ელოდებოდა.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ლოგისტიკა ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის ყველა დარგს შეიძლება ეხებოდეს, ყველა მსურველი სატრანსპორტო ლოგისტიკის დოქტორი ვერ გახდებოდა. მისივე თქმით, ლოგისტიკა დარგთაშორისი დისციპლინა იყო და შეუძლებელი იყო ცალკეულად მხოლოდ ლოგისტიკის ან მხოლოდ ბიზნეს ადმინისტრირების სწავლება (წარმომადგენლის განმარტებით, წინაპირობებში მითითებული იყო „დარგთა შესაბამისი მაგისტრი").

შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის ბოლოს მითითებული იყო ელექტრონული ბმული, საიდანაც შესაძლებელი იყო შესაბამის გვერდზე გადასვლა, სადაც შეფასება იყო მითითებული.

მიუხედავად ამისა, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მეტი სიცხადისთვის, შეფასების კრიტერიუმების მოკლედ, პროგრამაშივე მითითება მოხდებოდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ლოგისტიკის დაყოფა მართვის ტიპზე იყო დამოკიდებული - რომ, ორგანიზაციული მართვა ბიზნეს ადმინისტრირებას ეკუთვნოდა.

საბჭოს წევრმა, მაგდა მაღრაძემ აღნიშნა- გამომდინარე დარგის მნიშვნელობიდან, პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა მუდმივად განახლებადი უნდა ყოფილიყო. იგი დაინტერესდა, იყენებდა თუ არა უნივერსიტეტი ელექტრონულ ბაზებს. ასევე, კრიტიკა გამოთქვა რუსულ ენაზე თარგმნილი მომველებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენების თაობაზე - ისმებოდა კითხვა, რამდენად პასუხობდა აღნიშნული ლიტერატურა სტანდარტს. ექსპერტმა აღნიშნულის თაობაზე განაცხადა, რომ საჭირო იყო პროგრამაზე ლიტერატურის განახლება.

მაგდა მაღრაძემ აღნიშნა, რომ სადოქტორო საფხურზე, როცა დოქტორანტს ინგლისური ენის ცოდნა მოეთხოვებოდა, რუსულად თარგმნილი ლიტერატურის გამოყენება არაადეკვატური იყო, როცა დოქტორანტს ორიგინალი ტექსტების წაკითხვაც შეეძლო. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად განაცხადა, რომ აღნიშნული ფაქტი მხოლოდ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის საკითხიდან გამომდინარეობდა, ამასთან, მაგალითად, ისეთ თემაზე, როგორიც იყო ოპტიმიზაციის მოდელები, ლიტერატურა მალე არ ძველდებოდა. ასევე, წარმომადგენელმა დარგში ახალი, 2010-2014 წლების სამტომეული მონოგრაფიის გამოცემის შესახებ აღნიშნა, რომელშიც სრულიად განახლებული ინფორმაცია იყო შესული.

მაგდა მაღრაძემ განმეორებით დასვა საკითხი სადოქტორო საფეხურზე ელექტრონული ბაზების გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით და ეჭვქვეშ დააყენა პროგრამაზე არსებული ლიტერატურის სტანდარტთან შესაბამისობა.

საბჭოს წევრმა, თამუნა ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამა ძალზედ სპეციალიზირებულ ხასიათს ატარებდა და დაინტერესდა, არსებობდა თუ არა რაიმე სახის გამჭოლი თეორიული კურსები, როგორც თეორიული ჩარჩო; ასევე, გულისხმობდა თუ არა აღნიშნული სადოქტორო პროგრამა თანახელმძღვანელობას, თანამშრომლობას სხვა, მსგავსად სპეციალიზირებულ სადოქტორო პროგრამებთან, ვინაიდან სადოქტორო საფეხურზე იქნებოდა ადამიანური რესურსის ნაკლებობის პრობლემა.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით იწერებოდა ნაშრომები და მათ მიერ შეიქმნა მონოგრაფიის სამტომეული, როგორც სახელმძღვანელო. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განაცხადა, პროგრამის ფარგლებში არსებობდა სქემა, რომელსაც დოქტორანტი მიჰყვებოდა და პირველი პროსპექტუსის ჩამოყალიბებისთანავე შესაძლებელი იყო მისთვის რეკომენდაციების მიცემა.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, რა მომიჯნავე მიმართულებაზე და რა თემებზე იყო შესაძლებელი პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ თანახელმძღვანელობის გაწევა. პროგრამის ხელმძღვანელმა მსგავსი პრეცენდენტის შესახებ აღნიშნა და თანახელმძღვანელობის თემაც დააკონკრეტა. პროგრამის ხელმძღვანელმა გამჭოლი თეორიული კურსები ჩამოთვალა და ისაუბრა მათზე..

19:40 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 20:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის მეორე ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე- 6; წინააღმდეგი - 1)
  ამასთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალოს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება სამი თვის განმავლობაში. კერძოდ: გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურა.
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე- 6; წინააღმდეგი - 1)
  ამასთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალოს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისონის შემოწმება სამი თვის განმავლობაში. კერძოდ: გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურა.
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე- 6; წინააღმდეგი - 0)
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე- 6; წინააღმდეგი - 0)
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოგისტიკის სადოქტორო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე (მომხრე- 0; წინააღმდეგი - 6)
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე- 6; წინააღმდეგი - 0)
-

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულდა 20:32 სთ-ზე.

თავმჯდომარე
გიორგი კამკამიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე